ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2271225

ნომერი: AR1352991

თარიღი : 29.10.2015

გაცემის თარიღი : 30.10.2015

გაცნობის თარიღი : 02.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია კ.ძნელაძის ქ. N 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 29 ოქტომბერს #AR1352991 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III,-ში, 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის, შპს „ლუმაქ ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.10.08.006.034) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 13 აგვისტოდან 2016 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით. ხოლო, სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის #2196714 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში დამკვეთად მითითებულია შპს ლუმაქ ჯგუფი. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882014101094, მომზადების თარიღი: 05/03/2014 წ., ს/კ: #01.10.08.006.034) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ლუმაქ ჯგუფი, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B13081618; მომზადების თარიღი: 19/08/2013 წ.; ს/კ: #438726050) თანახმად, წარმოადგენს შოთა ქუთათელაძე.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, ავტოსადგომის ფართობად 1237.8 კვ.მ–ის ნაცვლად 958.5 კვ.მ–ის დაფიქსირებას, რაც თავის მხრივ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას და 9013.2 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 8737.3 კვ.მ–ს.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 958.5 კვ.მ., ხოლო, საერთო ფართობად 8737.3 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული –3.00 ნიშნულზე მდებარე მიწისქვეშა ავტოსადგომის გეგმა ჩანაცვლდეს 2015 წლის 29 ოქტომბრის #AR1352991 განცხადებით წარმოდგენილი გეგმით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2062993 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.